დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 12

ქ. დმანისი 25 ნოემბერი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. გამლეტ ისმაილოვი
18. შახინ კოიალოვი
19. გუმბათ იუსუბოვი
20. მაია ციხელაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი.

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 15
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
5	**განკარგულება:** სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**
6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვესათვის'' ააიპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' შენობის ფართის (სარეპეტიციო დარბაზი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**
7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**
8	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109-109240253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილი**

9	დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის, პაატა ყულიაშვილის 2023-2024 საანგარიშო წელს გაწეული მუშაობის ანგარიში
მომხსენებელი:	**პ.ყულიაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 აპრილის #550 განკარგულებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 ნოემბრის #1655 განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 316,4 ათასი ლარი ნაცვლად 285,0 ათასი ლარისა. ზრდამ შეადგინა 31,4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 02_05_01 "საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 344,5 ათასი ლარისა განისაზღვროს 375,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულებიდან გამომდინარე, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო მიწების გაყიდვიდან შემოსული თანხების საფუძველზე, შემოსავლების „არაფინანსური აქტივების კლეაბა"-ს „არაწარმოებული აქტივები"-ს მუხლი გაიზარდა 159,3 ათასი ლარით, და აღნუშნული მუხლი ნაცვლად 740,0 ათასი ლარის განისაზღვროს 899,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი შემცირდეს 31,4 ათასი ლარით და ნაცვლად 918,6 ათასი ლარის განისაზღვროს 887,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

მეორე და მესამე პუნკტებში ჩემოთვლილი ჭარბი შემოსავალი და შემცირებული თანხა, ჯამში 190,7 ათასი ლარი, გადანაწილდეს შემდეგ ორგანიზაციულ კოდებზე:

ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია"-ს „გრანტი"-ს მუხლი გაიზარდოს 90,3 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.182,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.272,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი გაიზარდოს 100,4 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 204,5 ათასი ლარის განისაზღვროს 304,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო"-ს „სხვა ხარჯები"-ს მუხლი შემცირდეს 10,3 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნას ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 256,1 ათასი ლარის განისაზღვროს 266,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია"-ს „შრომის ანაზღაურება"-ს მუხლი შემცირდეს 28,7 ათასი ლარით და აღანიშნული თანხა გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 01_01_01 „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო"-ს „შრომის ანაზღაურება"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 735,7 ათასი ლარის განისაზღვროს 764,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 02_01_01 „გზების მიმდინარე მოვლა შენახვა"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი შემცირდეს 26,8 ათასი ლარით და აღანიშნული თანხა გადანაწილდეს შემდეგ კოდებზე:

ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში გაიზარდოს 22,5 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 931,5 ათასი ლარის განისაზღვროს 954,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 05_06 „საგამომცემლო საქმიანობა“-ს „სუბსიდია“-ს მუხლი გაიზარდოს 4,3 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 45,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 49,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **34 543,3** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმარტველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2025-2028 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2025 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს შესაბამისება.

2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21065,2 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3867,6 ათასი ლარით ანუ(18,4%-ით).

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 19265,2 ათასი ლარით;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19%-ით (3667,6 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1800.0 ათას ლარს;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 11,1%-ით (200,0 ათასი ლარით) იზრდება.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 204,2 ათასი ლარამდე, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად- 179,2 ათასი ლარი საზოგადოებრივი ჯანმრთველობის ფუნქციონირებისათვს.

- მაღალმთიანი რეგიონების განვითარების და სხვა საქაეთველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებითგათვალისწინებული ღონისძიებათა დაფინანსება- 25,0 ათასი ლარი.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 2450,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- პროცენტები 150,0 ათასი ლარი.

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 150,0 ათასი ლარით ნაკლები განისაზღვრა.

- რენტა 2300,0 ათასი ლარის ოდენობით

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 450,0 ათასი ლარით მეტია დაგეგმილი რაც გამოწვეულია ბუნებრივი რესურებით სარგებლობის მოპოვების გაზრდით.

- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 300,0 ათასი ლარი,2024 წელთან შედარებით შემცირებულია 50,0 ათასი ლარით.

- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 75,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- სანებართვო მოსაკრებლები 15,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 40,0 ათასი ლარი;
- შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 20.0 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 152,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 150,0 ათასი ლარი;
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 2,0 ათასი ლარი;
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 200,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 200,0 ათასი ლარი;

- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა არ განისაზღვრა.
- ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება0,0 ლარის ოდენობით;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 65.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 24146,4 ათას ლარს (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან 19988,8 ათასი ლართან შედარებით იზრდება 4157,6 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 3 ძირითადი ფაქტორით, -1) დამატებული ღირებულების გადასახადის ზრდით 3667,6 ათასი ლარით, 2),ქონების გადასახადის ზრდით-200.0 ათასი ლარით და 3)არასაგადასახადო შემოსავლების ზრდი-290,0 ათასი ლარით.

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით როგორიცაა:მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლების ხელფასების ზრდა, ,ააიპ-ის სუბსიდირების ზრდა თანამშრომელთა ხელფასების ზრდისთვის,მერიის საქონელი და მომსახურების მუხლის ზრდით კომუნალური გადასახადების მატების შედეგად,ასევე სატრანსპორტო საშუალებების საწვავების ფასების და ლიმიტების გაზრდით,ასევე შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა ხელფასების მატების შედეგად.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 7612,8 ათასი ლარი; მათ შორის:
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2321,6 ათასი ლარი;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვა-10,0 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 2311,6 ათასი ლარი. მათ შორის :

- ქ.დმანისში აღმაშენებლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის -850 000ლარი.
- ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩის, 9 აპრილის ჩიხის და ვახტანგ მეფის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე 31 000 ლარი.
- ამამლო-ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-136281ლარი.
- სოფელ ბოსლებში სანიაღვრე არხების მოწყობაზე-200 000 ლარი.
- სოფელგომარეთის შიდა საუბნო გსის რეაბილიტაციაზე - 245043 ლარი.
- ქ.დმანისი-ქვემო ოროზმანი -ამამლო-მამიშლო-საფარლოს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე -587676 ლარი.
- სოფელ პანტიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია -261595 ლარი.

წყლის სისტემების განვითარება -412,9 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: -მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 412,9 ათასი ლარი ქ.დმანისში და 19 სოფელში სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მშენებლობისთვის.

გარე განათება - 650.0,0ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია ელექტრო მრიცხველების შეძენა-მონტაჟი 50,0 ათასი ლარი და გახარჯული ელექტრო ენერგიის ხარჯი 600.0 ათასი ლარი.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 1051,1 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი სახსრებით 2025წელს ;

-ქ.დმანისში N1 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე 66022 ლარი.

-ქ.დმანისში წმ.ნინოს ქN56-შიარსებული სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია -185 085 ლარი.

ასევე მუნიციპალიტეტის მერია ითვალისწინებს სვანეთიდან გადმოსახლებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 750.0 ათასი ლარი და ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსებისათვის 50,0 ათასი ლარი.

 კეთილმოწყობის ღონისძიებები პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები,რისთვისაც გათვალისწინებულია 1427,2 ათასი ლარი,კერძოდ:

 საანგარიშო წელს განხორციელდება შემდეგი პროექტების რეაბილიტაცია :

 -სოფელ -სოფელ პანტიანში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობზე-465336 ლარი.

 -სოფელ ქვემო ოროზმანის სტადიონის და სკვერის მოწყობაზე - 523 501 ლარი.

 -სოფელ დაგარახლოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე -251959 ლარი

 - ქ.დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვა და საპირფარეშოს მოწყოა-126805 ლარი.

 -სოფელ განთიადში ეკლესიის არსებული ტერიტორიის შემოღობვა-59597 ლარი.

 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 550,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 1200,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, გარე განათების რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის კონკრეტული მოსახლეობა.

 დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2557,1 ათასი ლარი; მათ შორის:

 დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2424,0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის და მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვა,ადგილობრივი შიდა გზების მოვლა-შენახვა,მუნიციპალური ტრანსპორტის ხარჯები დაფინანსება და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოხვნის ხარჯების დაფარვა.

>უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისთვის -30.0 ათასი ლარი.

კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში - 103,1 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა,კერძოდ: საკუთარი სახსრებით შეძენილი ერთი ერთეული ავტობუსის დარჩენილი თანხის 103050 ლარის განაღდებისათვის.

- განათლება - 2067,9 ათასი ლარი, მათ შორის:
- სკოლამდელი განათლება -1849,6 ათასი ლარი;

2024 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 218,0 ათასი ლარით ანუ 13,4 %,რაც გამოწვეულია კომუნალური ხარჯების, კვების პროდუქტების ფასების ზრდით და თანამშრომლების ხელფასების ზრდის შედეგად..

>საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა -203,1 ათასი ლარის ოდენობით

2024წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 22,1 ათასი ლარით (12,2%)რაც გამოწვეულია თანამშრომელთა ხელფასების და კომუნალური ხარჯების ზრდით.

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით-სწავლის დაფინანსება-15,2 ათასი ლარი

- დაწყებითი ზოგადი განათლება -0,0 ათასი ლარი

აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ ულებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწალეების გადაყვანა ლარი, და სკოლების მცირე რეაბილიტაცია.

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3621,4 ათასი ლარი მათ შორის:
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა -1121,6 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა -2499,8 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების,კულტურული ღონისძიებების,რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1949,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 179,2 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- სოციალური პროგრამები - 1770,6 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამისთვის გათვალისწინებულია -600,0ათასი ლარი,მათ შორის:დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარება-36,0 ათასი ლარი,ერთჯერადი დახმარება- 300.0 ათასი ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება-15,0 ათასი ლარი, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაზლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება-72,0 ათასი ლარი,მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა- 15,0 ათასი ლარი,18 წელს გადაცილებული შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა -30,0 ათასი ლარი და მარჩენალდაკარგული დედმამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება-26,0 ათასი ლარი,ბავშვთა რეაბილიტაციის შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფა-18,0ათასი ლარი,ოჯახში ძალადობის აღკვეთის ,ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების ქვეპროგრამა-18,0 ათასი ლარი, ბავშვთა რეაბილიტაცია განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შშბ-ის განკუთვნილი ყოველთვიური დახმარება12,0 ათასი ლარი და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება 30,0 ათასი ლარი.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური დახმარების პროგრამა-550,0 ათასი ლარი, მათ შორის:სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური,ამბოლატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამისთვის 403,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტციისთვის -20,0 ათასი ლარი, მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა 100,0 ათასი ლარი და 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა 27,0 ათასი ლარი.
- სარიტუალო მომსახურება 1,0 ათასი ლარი.
- ტრანსპორტითმომსახურების მუნიციპალური პროგრამა-148,8 ათასი ლარი.
- მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა-299,8ათასი ლარი.
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის-64,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა.

- ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსება-40,0 ათასი ლარი.
- ქალთა სოციალურ- ეკონომიკური გაძლიერების პროგრამაზე 25,0 ათასი ლარი.
- ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრი 42,0 ათასი ლარი.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები- 6337,4 ათასი ლარი, მათ შორის:
- საკრებულოს დაფინანსება 1290,8 ათასი ლარი;
- მერია - 4742,0 ათასი ლარი;
- საერთო დანიშნულების ხარჯები -304,6 ათასი ლარი;

აქედან : სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი-19.0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა-65.6 ათასი ლარი , საიდანაც ძირითადი თანხა შეადგენს 55,6 ათას ლარს,ხოლო პროცენტი 10.0 ათას ლარს.

სარეზერვო ფონდი - 150,0 ათასი

მონაწილეობითი საქმიანობის მხარდაჭერა-50,0 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორების ხელშეწყობის ღონისძიებები-20,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

დმანისის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში გათვალისწინებულია 24146,4 ათასი ლარი,მათ შორის:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6337,4ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 2321,6 ათასი ლარი;

- გარემოს დაცვა - 2557,1ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 5291,2 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 179,2 ათასი ლარი;
- განათლება - 2067,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 1770,6 ათასი ლარი;
- დასვენება,კულტურა,სპორტი და რელიგია-3621,4 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა მიულოცა საკრებულოს წევრებს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მოკლედ მიმოიხილა 2025 წლის ბიუჯეტი.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 19
წინაღმდეგი:
3. მომხსენებელი: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 985 526 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლების ნაშთი 3 494 504 ლარი,ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული გრანტები 491 022 ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა
(ათას ლარებში)
ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ
მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა21306,3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 361,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 119%.

I შემოსავლები
მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლები დაგეგმილი იყო (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები)14436,4 ათასი ლარი, ფაქტიურად 19382,2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 134,3% .
ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1495,3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1449,0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 0,3 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან 41,8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის 9 თვის ფაქტი –1330,9 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 164,4 ათასი ლარით მეტია შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის)

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 11794,0 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის 9 თვის ფაქტი -9104,4 ათასი ლარი) შედარებით 2689,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული .

II გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 4 114,6 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 676,8 ათასი ლარი, კაპიტალური დანიშნულების გრანტი 3217,4 ათასი ლარი, ,სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური, სპეციალური ტრანსფერი) – 206,1 ათასი ლარი ორი ერთეული სამგზავრო ავტობუსის შესყიდვა.უცხო სახელმწიფოთა მთავრობიდან მიღებული გრანტი 14,3 ათასი ლარი

III სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული იყო 1909,0ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ 1978,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 103,6%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის 9თვის ფაქტი –2490,6 ათასი ლარი) შედარებით 512,3 ათასი ლარით ნაკლებია შემოსავალი მიღებული აღნიშნული ნაკლებობა გამოწვეულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გეგმის შემცირების შედეგად, ხოლო მიწის საიჯარო ქირის გადასახადიდან შემოსულია 305,4 ათასი ლარი,წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ნაკლებია შემოსული 107,6 ათასი ლარის ოდენობით(-413,0 ათასი ლარი)

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 235,1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (267,7 ათასი ლარი) შედარებით 32,6 ათასი ლარით ნაკლებია შემოსული,რაც გამოწვეულია ბანკში ნაშთის შემცირების შედეგად.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 33,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (31,5 ათასი ლარი)105 %-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 7,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (7,5 ათასი ლარი)105%-ია.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 25,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (22,5 ათასი ლარი) 112%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 7,3 ათასი ლარი) შედარებით 15,2 ათასი ლარით მეტია მიღებული.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 162,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (132,5 ათასი ლარი)122,4 %-ია და 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (216,9ათასი ლარი) შედარებით 54,7ათასი ლარით ნაკლებია მიღებული.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 31,2 ათასი ლარი, მათ შორის: წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 5,8 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 25,4 ათასი ლარი. .

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 673,8 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 76,0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან 597,8 ათასი ლარი.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის 9 თვეში გადასახდელების შესრულების 73,9 %-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა,(გეგმა 28483,8 ათასი ლარი, ფაქტი 21037,1 ათასი ლარი) რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (0%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2023 წლის 9 თვესთან შედარებით) დახარჯულია 5463,9 ათასი ლარით მეტი (-15573,2) აღნიშნული მეტობა დაფიქსირებულია შრომის ანაზღაურების მუხლში ხელფასების ზრდის შედეგად, მატება ძირითადად გამოწვეულია ხელფასების 10 %-იანი მატებით,როგორც საკრებულოში და მერიაში დასაქმებული მომუშავეებზე, ასევე ააიპ-ებში დასაქმებული თანამშრომლებზე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული მატება გამოწვეულია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებდან გამომდინარე.

2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 28483,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21037,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 73,9%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14444,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 12935,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89,6%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 61,5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14011,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 8074,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის 57,6%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 38,4 %-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 27,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0,1%

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2669,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2448,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 11,6%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 3291,9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2573,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,2%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 12,2%-ია.

,,პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 10,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 6,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 61%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0,05 %-ია.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4767,3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4362,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 20,7%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1104,2 ათასი ლარი;

- დასუფთავების ღონისძიებები - 1320,5 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებები - 131,8 ათასი ლარი.

კულტურული ღონისძიებები-160,5 ათასი ლარი.

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1147,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1145,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 5,4 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1535,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1473,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 96%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 7%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები 1438,4 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება სარეზერვო ფონდიდან - 176,7 ათასი ლარი .

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1023,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 926,0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 90,5%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულებისა4,4%-ია.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 3889,9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4594,9ათასი ლარი) 84,7%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 18,5%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 3856,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (4289,6 ათასი ლარი) 89,9%-ია;
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 0 ათასი ლარი, რაც გეგმის 0%-
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 33,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 305,2ათასი ლარი) 11,1%-ია.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6520,1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4004,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 61,4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 19%.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 2353,2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2178,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92,6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 10,4%. მათ შორის:

- ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 1320,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1468,0 ათასი ლარი) 90%-ია;

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 8745,4ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5273,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 60,3%, ხოლო სულ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 25,1%. მათ შორის:

- ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 1480,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3178,4 ათასი ლარი)46,6%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 1132,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1399,0 ათასი ლარი) 81%-ს შეადგენს;
- გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 453,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 486,5 ათასი ლარის 93,2%-ს შეადგენს.
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 2207,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3681,5ათასი ლარი) 60%-ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 139,3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 103,8 ათასი ლარი, ანუ 74,5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0,5%. მათ შორის:

◙ დასვენების, კულტურის,სპორტის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 2252,9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2006,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89,1%, ხოლო სულ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 9,5%. მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 518,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (589,6 ათასი ლარი) 87,9%;
- მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1155,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1332,6 ათასი ლარი) 86,73%-ს შეადგენს;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 332,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (332,8 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1957,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1762,6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90%, ხოლო სულ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 8,4%. მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 1104,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1186,0 ათასი ლარი) 93,1%-ს შეადგენს;

- საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსებამ შეადგინა 121,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (138,8 ათასი ლარი) 87,5%-ს შეადგენს;
- განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების-საჯარო სკოლების დაფინანსებამ შეადგინა 523,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (619,0 ათასი ლარი) 84,6%ს შეადგენს;

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1920,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1817,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94,7%, ხოლო სულ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 8,6%. მათ შორის:

- ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 610,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (654,4 ათასი ლარი)93,3 %-ს შეადგენს;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური,ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 669,4ათასი ლარი, რაც გეგმის (670,0 ათასი ლარი) 99,9%-ს შეადგენს;
- მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 158,4 ათასი ლარი,ანუ გეგმის 170,5 ათასი ლარის 92,9 %
- ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 173,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (195,6 ათასი ლარი) 88,5%;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 206,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (229,8 ათასი ლარი) 89,7%-ს შეადგენს.

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 201979 ლარიდან გადარიცხულია199618 ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად 41830 ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის -6800 ლარი, უბედური

შემთხვევის შედეგად (ხანძარი,მიწისძვრა,ქარის და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების და დამწვარი თივის ზვინების და სხვა ხარჯები -96950 ლარი, უკრაინიდან დევნილების და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარებისათვის საცხოვრებელი ბინის ფართის დაქირავებისათვის 4550 ლარი, ტრანსპორტის დაქირავებისთვის საბავშვო ბაღში გადადგილებისათვის 5500 ლარი,რვა სტუდენტზე სწავლის საფასურის გადახდისთვის 10227 ლარი,სტიქიის შედეგად სოფელ ლოქჭანდარში დაზიანებული მისასვლელი გზის მონაკვეთის აღდგენის მიზნით 5000 ლარი, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებისათვის 10761 ლარი,სოფელ ირგანჩაიში გზის საყრდენი კედლის,სოფელ ოროზმანში და სოფელ ლოქჭანდარში ხიდების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 18 000 ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული იქნა -97,3 ათასი ლარი.

2024 წლის 9 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 100,0 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად გაცემულია -97,3 ათასი ლარი.

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 33,9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (37,8 ათასი ლარი) 89,7%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6,1 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 27,8ათასი ლარი.

აღნიშნული წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვიტარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას.

საანგარიშო პერიოდში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ინფრასტრუქტურა - 9278,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (15265,5 ათასი ლარი) 60,8%-ია;
- განათლება 1352,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (1571.8 ათასი ლარი) 86 %-ია;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი 1460.6 ათასი ლარი რაც გეგმის (1701,6 ათასი ლარი) 85,8%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1287,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (1381.1 ათასი ლარი) 93.3%-ია;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 2701.0ათასი ლარით, რაც გეგმის (3118.1 ათასი ლარი) 86.6 %-ია.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2178,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (2353,2 ათასი ლარი) 92,6%-ია.

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 19

წინაღმდეგი:

4.მომხსენებელი; თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2025 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის, 2023 წლის და მიმდინარე 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 19

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი; ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, ქ. დმანისში მდებარე 776 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №82.01.41.396, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის საოფისე ფართის მშენებლობისთვის.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი; ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვესათვის" ააიპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლის" შენობის ფართის (სარეპეტიციო დარბაზი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,მართვეს", ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №58-ში მდებარე ააიპ ,,სამუსიკო სკოლის" შენობის (ს/კ 82.01.46.785) სარეპეტიციო დარბაზის 160 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, სარეპეტაციოდ და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლარი თვეში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი:

7.მომხსენებელი; ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად საჭიროა, შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულების დანართი 1–ში, დაემატოს ერთი ობიექტი:

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	აუქციონის ფორა (უპირობო/პირობიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	შენიშვნა
1	სასოფლო-სამეურნეო	დმანისი სოფელი ზემო ოროზმანი	82.14.44.461	259		2072	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	

ხოლო საპრივატიზებო ნუსხიდან ამოღებული იქნას შემდეგი ობიექტები:

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ)	საბაზრო ღირებულება (ლარში)	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო	ქ.დმანისი	82.01.46.968	100	0	8000	გაიყიდა
2	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ,კარბულახი	82.07.43.293	1535		15350	გაიყიდა
3	არასასოფლო-სამეურნეო	ქ.დმანისი	82.01.46.690	113		10170	გაიყიდა
4	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი საფარლო	82.15.41.660	12559		100472	გაიყიდა
5	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ,კარბულახი	82.07.47.881	616		6160	გაიყიდა
6	არასასოფლო-სამეურნეო	ქ.დმანისი გორგასლის ქ. N2	82.01.42.038	417	335	35515	გაიყიდა
7	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ბოსლები	82.12.48.634	1281		3843	გაიყიდა
8	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ბოსლები	82.12.48.635	3719		11157	გაიყიდა
9	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ოროზმანი	82.14.44.459	74569		74569	გაიყიდა
10	სასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი გოდაგდაგი	82.07.46.297	1002		10020	გაიყიდა
11	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ,კარბულახი	82.07.45.423	516		6192	გაიყიდა
12	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი განთიადი	82.13.41.547	820	215	59490	გაიყიდა
13	არასასოფლო-სამეურნეო	ქ.დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა	82.01.42.456	600		36000	გაიყიდა
14	არასასოფლო-სამეურნეო	ქ.დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა	82.01.42.457	4399		281740	გაიყიდა

მომრავი ქონება

	დასახელება	სახელმწიფო N	გამოშვების წელი	საიდენტიფიკაციო N	ფერი	საბაზრო ღირებულება (ლარში)	
1	MERSEDES BENZ VITO	TH-925-TH	2008	AJ3214642	თეთრი	28000	გაიყიდა
2	FORD TRANSIT 100GL 2.5D	LX-576-XL	1992	AM9064119	თეთრი	1000	გაიყიდა
3	SKODA OKTAVIA	AA-982-BB	2013	AA-982-BB	თეთრი	5828	გაიყიდა

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 19

წინააღმდეგი:

8.მომხსენებელი; ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №g-109-109240253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

„2024 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება" გაიზარდა ქ. დმანისში სიონის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები 22000 ლარით 10 % -ის გაზრდის ფარგლებში დამატებითი სამუშაოების გამო.

დაემატა „სოფ ველისპირში სასმელი წყლის შიდა ქსელი მოწყობის სამუშაოები", რომლის ღირებულება შეადგენს 100400 ლარი.

ზემოთ აღნიშნული თანხები დაემატა მერიის თავისუფალი ნაშთებიდან ჯამში 122400 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ოლეგი გოშუანმა, მურაზი აბრამიშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 19

წინააღმდეგი:

9. მომხსენებელი: პაატა ყულიაშვილი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის, პაატა ყულიაშვილის 2023-2024 საანგარიშო წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;

მინდა ავღნიშნო, რომ როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე ვუხელმძღვანელე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებულ სხდომებს, რომელზეც განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი, საერთო ჯამში ჩატარებული იქნა 14 საკრებულოს სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობამ შეადგინა 110.

ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 14 სხდომა, განხილული იქნა 109 საკითხი.

ასევე ვარ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯო და სამანდატო საპროცედურო და ეთიკის კომისიების წევრი, სულ ჩატარდა 25 სხდომა სადაც, მონაწილეობა მივიღე კომისიების კომპეტენციაში შემავალი 49 საკითხის განხილვაში.

2023 წლის 28 ნოემბერს განვიხილეთ და დავამტკიცეთ დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი 19 988,8 ლარით, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3,649 ლარით.

2024 წლის იანვრიდან საკრებულოს წევრებთან, მერთან და თვითმმართველობის სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შეხვედრები ჩავატარეთ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, სადაც მოსახლეობასთან ერთად შევარჩიეთ სოფლისთვს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 686000 ლარით განსახორციელებელი პროექტები, რომლის ნაწილისაც მერთან და საკრებულოსთან შეთანხმებით ნაწილ შემთხვევებში თანხები დავამატეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებს. ამავე შეხვედრებმა მოგვცა იმ დროისათვის მოსახლეობაბაში არსებული გამოწვევების სრული სურათი, რაც შემდგომ აქტიურად გამოვიყენეთ პრიორიტეტების დაგეგმვისას, ძირითად პრიორიტეტებად კი გამოიკვეთა- გზების მოხრეშვა, გარე განათებების მოწყობა, სასმელი წყალი და მინი სტადიონების მოწყობა.

ასევე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" წევრებთან ერთად აქტიური შეხვედრები განვახორციელეთ როგორც ქ. დმანისის ასევე სოფლების მოსახლეობასთან. სადაც მოსახლეობას გავაცანით მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის და სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

მერთან ერთად შეხვედრა გავმართეთ ქ. დმანისში არსებული მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობასთან და ბინით მესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის ახალი პროგრამა გავაცანით.

როგორც გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ საკრებულოს წარუდგინე გენდერის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

8 თებერვალს, ჩემი ხელმძღვანელობით დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მნიშვნელოანი სხდომა გაიმართა, სადაც პროცედურის დაცვით განხილული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის, კობა მურადაშვილის მიერ 2023 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, რომელიც მან საკრებულოს პირადად წარუდგინა.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა ჩვენს მიერ მიღებული საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით, კერძოდ: 12 თებერვლიდან დმანისი - თბილისი, გომარეთი-თბილისის მიმართულებით მუნიციპალურმა ტრანსპორტმა (ახალი ავტობუსები) დაიწყო მოძრაობა, ავტობუსი თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურში ჩერდება. მუნიციპალურ ტრანსპორტში გადახდის საბარათე სისტემა მოქმედებს.

კოლეგებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მივიღე, თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ ყველა კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებაში, მათ შორის მათი დაგეგმვის პროცესშიც (შობა, ნოვრუზ ბაირამი, დამოუკიდებლობის დღე, დმანისობა და სხვა).

თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტის ორგანიზებით დარგის ექსპერტებთან, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან- სამოქალაქო საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან საჯარო კონსულტაცია გავმართეთ, სადაც მიუსაფარი ცხოველების მართვის პოლიტიკა განვიხილეთ.

16 თებერვალს ქალაქ ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, წყლის რესურსების მართვის ახალი კანონის შესახებ ცნობიერების ამაღლების მესამე ფორუმს დავესწარი.

მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმში, რომელიც გაიმართა ქ. რუსთავში. ასევე დავესწარით ქ. დმანისში საკრებულოს წევრებთან და მერთან კობა მურადაშვილთან ერთად მერის ახალგაზრდული სათათბიროს 2023 წლის ანგარიშს.

მონაწილეობა მივიღე საინფორმაციო კამპანიაში - დმანისის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.

ასევე საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის, ხელმძღვანელობით, სამხარეო ადმინისტრაციაში, საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში.

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, მერიის თანამშრომლებსა და სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.

როგორც მუნიციპალიტეტში არსებულმა გენდერის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან ერთად შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ მომავალი წლის სამუშაო გეგმა, ჩავატარეთ საბჭოს სხდომები, განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები მათ შორის დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, შეხვედრა გავმართეთ ა/ო ,,მერსი ქორფსის'' (MERCY CORPS) წარმომადგენლებთან, თემაზე უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში. ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის წევრებმა, საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მარტის თვის ღონისძიებებთან დაკავშირებით, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხუთი შვილის დედას, სამი ახალშობილი ტყუპისათვის საკვები პროდუქტები გადასცეს.

მერთან და თვითმმართველობის სხვა კოლეგებთან ერთად მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე როგორც ინფრასტრუქტურული პროექტებზე მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებაში ასევე დასრულებული პროექტების გახსნის პროცესში.

მუნიციპალიტეტის მერთან კობა მურადაშვილთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ ბოლნისში მდებარე ა(ა)იპ ,,ბოლნისის ზრდასრულთა საგანმანათლებლო ცენტრში" ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში არაფორმალური სასწავლო კურსის დასკვნით ღონისძიებაში, სადაც შესაბამისი კურსი გაიარა 15 დმანისელმა ქალბატონმა.

კოლეგებთან და ,,მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის'' ხელმძღვანელთან , კომპანია" RMG" -ის გარემოსდაცვითი დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე დმანისის სიონის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებაში.

მონაწილეობა მივიღე რუსთავში, პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საყოველთაო-სახალხო განხილვაში.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონფერენციო დარბაზში, გავმართეთ დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ მერიის წარმომადგენლები, პედაგოგები, ახალგაზრდები და რიგითი მოქალაქეები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან და დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად შევხვდით დმანისის მოსახლეობას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების, სხვადასხვა მიმდინარე აქტუალური საკითხის გაცნობის მიზნით.

დმანისის მუნიციპალიტეტმა იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ (ggp) ჯიჯიპი საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით მყარი ნარჩენების შემგროვებელი მანქანა შეისყიდა, რისთვისაც მერთან ერთად მადლობა გადავუხადეთ იაპონიის ელჩს.

დმანისში ასევე ვუმასპინძლეთ საქართველოს პარლამენტის განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის გასვლით სხდომას, რომელსაც განათლების, მეცნიერებისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ესწრებოდნენ. შეხვედრაზე სტუმრებმა ვიზიტის ფარგლებში მერიის ბალანსზე არსებული ახალგაზრული სივრცე, შვეიცარიის აგრარული სკოლა და აბულმუგის აბანო მოინახულეს, შეხვდნენ მერის სათათბიროს წევრებს და მოისმინეს მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები.

კოლეგებთან და დარგის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა ჩავატარებთ ქალაქ დმანისის N1 საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებთან, სადაც მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს ვუპასუხეთ, რომელიც საგნის „მოქალაქეობა" ფარგლებში გავლილ მასალას, კერძოდ თვითმმართველობის ფუნქციებს, ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურებს და მოქალაქეთა ჩართულობას ეხებოდა.

მონაწილეობა მივიღე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან ნინო რუხაძესთან ერთად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფართომასშტაბიან ღონისძიებაში, საუბარი გაიმართა USAID -ის პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დემოკრატიის განვითარების და ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით, ორგანიზაციის მნიშვნელოვან როლზე.

საანგარიშო პერიოდში ასევე დმანისის საკრებულომ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის 2023 წლის ანგარიშის განხილვა ასევე 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშების განხილვა.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნულ აქტივობებთან ერთად ასევე საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში, სამუშაო საათების პერიოდში მოქალაქეებთან განვახორციელე ყოველდღიური შეხვედრები, თვითმმართველობის და არა მარტო თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

ანგრიშში მითითებული აქტივობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე dmanisi.gov.ge ასევე საკრებულოს ფეისბუქ გვერდზე

https://www.facebook.com/profile.php?id=100080321093373

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებს და დმანისის ადგილობრივი თვითმმართველობის მთლიან გუნდს, საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატს, მერს, მერის მოადგილეებს, სამსახურის თანამშრომლებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კომერციულ თუ არაკომერციულ იურიდიული პირების თანამშრომლებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი